განმარტებითი ბარათი

თქვენს მიერ მოწერილ შუალედურ აქტში ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული №0001225 (12.04.16) მითითება არ არის გაცემული კონკრეტულ ობიექტზე. რის დამადასტურებლადაც ბიბზავნით ზემოთ ხსენებული მითითების ასლს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-1/ე 543-16

"06" 05 2016 წ.

დადგენილება №001225
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

06.05.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2016 წლის 12 აპრილის №001225 მითითება და 2016 წლის 28 აპრილის №001225 შემოწმების აქტი, შედგენილი **შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ სითი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №400154319, დირ. გია ბასიაშვილი (პირადი №01022009708, მის: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №41გ) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) "ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, თემქა, XI მ/რ, კვარტალი 1, კორპ. №10-ის მიმდებარედ შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ სითი"-ს მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე დარღვეულია საქართველოს მთავრობის №361 27.05.2014წ. დადგენილებით დამტკიცებული "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ გათვალისწინებული მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები: ფასადებზე, აივნებზე და ლიფტის შახტებში ნაწილობრივ არ არის მოწყობილი დროებითი შემოღობვები და დამცავი ფენილები. ობიექტზე არსებული ღობე არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს, კერძოდ, ობიექტზე შესვლა და იქ უნებლიე მოხვედრა არ არის კონტროლირებადი. მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალს სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 11 აპრილს შედგენილ იქნა მითითება №001225, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტზე მშენებლობის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

2016 წლის 28 აპრილს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001225, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შესრულება.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ სითი"-ს მიერ გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, თემქა, XI მ/რ, კვარტალი 1, კორპ. №10-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უზრუნველყოფილია სამსახურის №001225 12.04.2016წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25 მუხლის მე-11 ნაწილის "ა" და "ბ" პუნქტებით

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ სითი"-ს მიმართ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი